

ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა). მაგრამ, ჯერ ერთი, რუსულის სათანადო ბრუნვას — მოქმედებითს (творительный) ქართულში შეესაბამება არა მარტო მოქმედებითი, არამედ ვითარებითიც და, ზოგჯერ, სხვა ბრუნვებიც, სხვადასხვა თანდებულიანი ფორმები (მაგ.: стал человеком—კაცად იქცა, კაცი გახდა; утром—დილით||დილას; зимой — ზამთარში; весной — გაზაფხულზე; вместе с матерью — დედასთან ერთად და ა. შ.). ამიტომ მოქმედებითის ფორმაზე უარის თქმა კალკირების საკითხს ვერ მოხსნის. გარდა ამისა, საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ასევე ორგანული და ტრადიციულია ქართულისათვის და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას არა ქმნის.

ვიზიტად ფორმის ხმარებასთან დაკავშირებით შეინიშნება სხვახასიათის შეუსაბამობაც, რომელსაც ქმნის დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი მსაზღვრელი, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი: ორი დღის ვიზიტად, ოთხი დღის ვიზიტად და ა. შ. მაგ.: „...პრეზიდენტი რეიგანი 4 დღის ვიზიტად [უნდა იყოს: 4-დღიანი ვიზიტით] ჩავიდა იაპონიაში...“; „პრეზიდენტმა რეიგანმა მოლაპარაკება გამართა... ი. თიურქმენთან, რომელიც აქ ორი დღის ვიზიტად [უნდა იყოს: ორდღიანი ვიზიტით] იმყოფებოდა“ („კომ.“).

უხერხულ შესიტყვებას ქმნის აგრეთვე ნათესაობითის ფორმით წარმოდგენილი აბსტრაქტული სახელი ვიზიტ-სიტყვის მსაზღვრელად: „მოხარული ვართ, რომ „მეგობრობის ვიზიტად“ [ჯობდა: მეგობრული ვიზიტით] ჩავალთ სეგედში იმ აღამიანებთან, რომლებიც ჩვენს ქვეყნში მეგობრები გახდნენ...“ („კომ.“). შეუსაბამობის მიზეზია მსგავსი ცნებების — აბსტრაქტული სახელისა და მოქმედების სახელის უმართებულო სემანტიკური დაკავშირება.

ზ

ზავსულში/ზავსულზე. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი ერთი და იმავე სემანტიკური წრის — წელიწადის დროთა — სახელებია. მაგრამ ერთი და იმავე დანიშნულებით, კერძოდ, დროული მიმართების გადმოსაცემად ისინი სხვადასხვა — -ზე და -ში თანდებულებს ირთავენ. როდის? გაზაფხულზე, შემოდგომაზე, მაგრამ ზაფხულში, ზამთარში. თანდებულთა ამგვარი გამოყენება თუ განაწილება ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ენობრივი ტრადიციით არის გამართლებული და იგი უნდა დავიცვათ, არ შეიძლება ითქვას ზაფხულზე ან ზამთარზე. ასეთი ფორმები კი, მართალია, ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება ენაში: „ჭორფლი უმეტესად უჩნდ-

ბათ ქერათმიან ადამიანებს და განსაკუთრებით შეინიშნება გაზაფხულზე და ზაფხულზე [უნდა იყოს: ზაფხულში]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „დიდი, ნათელი თიხის კედლები სულერთთავად ელენესეული ნახატებითაა მოფენილი — თბილისი გაზაფხულზე, თბილისი ზაფხულზე [უნდა იყოს: ზაფხულში], თბილისი შემოდგომაზე, თბილისი ზამთარზე [უნდა იყოს: ზამთარში]“ („ახ. კომ.“); „ზაფხულზე [უნდა იყოს: ზაფხულში] მის ისევ მიელიან ამერიკაში“ („კომ.“).

-ზე/-ში. 1. ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგი სახელის -ზე და -ში თანდებულებიანი ფორმა ერთი და იმავე დანიშნულებით იხმარება. მეტ-ნაკლები სინშორით გვხვდება: ბაზარში იყიდა და ბაზარზე იყიდა, ბინაში ეწვია და ბინაზე ეწვია, ქუჩაში გავიდა და ქუჩაზე გავიდა, გზაზე ეყარა და გზაში ეყარა, ტრანსპორტში ავიდა და ტრანსპორტზე ავიდა, ქორწილში დაპატიუა და ქორწილზე დაპატიუა, წესრიგში მოჰყავს და წესრიგზე მოჰყავს, მონაწილეობას იღებს ასპარეზოებაში და მონაწილეობას იღებს ასპარეზოებაზე... საჭიროა ყოველი კონკრეტული თანდებულებიანი სახელისათვის ბუნებრივი და არაბუნებრივი კონტექსტების წარმოჩენა და, შესაბამისად, სალიტერატურო ენაში არსებული დარღვევების თავიდან აცილება.

2. ცნობილია, რომ -ზე და -ში თანდებულთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მოქმედების აღდგლის ჩვენებაა: -ში საგნის შიგ. შინაგან სიერცეში მყოფობას გამოხატავს, -ზე კი — ზედაპირზე მყოფობას.

სივრცობრივი მიმართების (მოქმედების აღდგლის) გამოსახატავად სახელი შეიძლება ორივე თანდებულს იგუებდეს ან მხოლოდ ერთ-ერთს. მაგ.: წყალში შევიდა, წყალში ჩავარდა, წყალში ჩაყვინთა და წყალზე გაწვა, წყალზე ტივტივებს, წყალზე ირხევა... მეორე მხრივ, ზის მატარებელში, ავტობუსში, ეტლში, სავარძელში, მაგრამ: მოტოციკლეტზე, ურემზე, ცხენზე, ტახტზე, სკამზე; დგას ოთახში, ღოჯიაში, მაგრამ: აივანზე, კიბის ბაქანზე...

კონკრეტული საგნის სახელებთან -ზე და -ში თანდებულთა ეს ფუნქციები, ჩვეულებრივ, კარგად არის გამოჩენილი. საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთი თანდებულის ამორჩევა გადმოსაცემი შინაარსის მიხედვით ხდება, კერძოდ, შინაგანი სივრცისა და შიგ მყოფობისათვის — -ში თანდებულისა, ზედაპირზე მყოფობისათვის კი — -ზე თანდებულისა. სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ წესს მიჰყვება და დარღვევებიც (ერთი თანდებულის ნაცვლად მეორის ხმარება), ჩვეულებრივ, არც შეინიშნება და არც არის მოსალოდნელი.

3. მაგრამ -ზე და -ში თანდებულთა ფუნქცია შესიტყვებაში ყოველთვის ასე ნათელი და გამჭვირვალე როლია, ხშირად ჭირს ან თითქმის შეუძლებელია სივრცობრივი მიმართებების დადგენა და ზემოთ

წარმოდგენილი დაპირისპირება -ზე და -ში თანდებულთა გამოყენებისა ხელშესახები არ არის.

მაგალითად, ქუჩა და შესახვევი ერთი სემანტიკური წრის სახელებია, მაგრამ ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი -ზე თანდებულიანია, მეორე კი — -ში თანდებულიანია: ქვეყნადის ქუჩაზე ცხოვრობს, მაგრამ: ქვეყნადის შესახვევში ცხოვრობს. ასეთ შემთხვევაში თანდებულთა სინონიმურ გამოყენებაზე ლაბარაკობენ და რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭებას ენობრივი ტრადიციით ამართლებენ.

ასეთი დამკვიდრებული სათანადო შესიტყვებებში -ზე თანდებულიანი სახელები: მიდის, მიაბიჯებს, მისეირნობს მოედანზე, პროსპექტზე, გამზირზე, ქვანოვზე, ბილიკზე, მაგრამ იმავე სემანტიკური წრის სხვა სახელებს იმავე პირობებში -ში თანდებული მოუდის: მიდის, მიაბიჯებს, მისეირნობს შესახვევში, გასასვლელში (ქუჩის გასასვლელში), ჩიხში, ხეივანში, ორღობეში, შუკაში, მოხვეულში (ივერაუღება ის ადგილი, სადაც გზა უხვევს: „გოგო მიდის მოხვეულში“, — ხალხ.).

ამ სახელთა სემანტიკურ წრეს მიეკუთვნება აგრეთვე ქუჩა და გზა, რომლებიც ზემოთ დასახელებულ სახელთაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. ისინი კონტექსტის მიხედვით ენაში -ზე თანდებულიანი ფორმითაც იხმარებიან და -ში თანდებულიანი ფორმითაც. ამ სიტყვათა თანდებულიანი ფორმების გამოყენების შესახებ იხ. ქუჩაზე/ქუჩაში და გზაზე / გზაში.

4. შესიტყვებები, რომლებშიც თანდებულის ფუნქცია დაჩრდილულია, ადვილად ეჭვემდებარება, ერთი მხრივ, უცხო ენობრივსა და, მეორე მხრივ, ანალოგიური კონსტრუქციების გავლენას.

სათანადო რუსული შესიტყვებების ზეგავლენით უნდა აიხსნას ქართულში ერთი და იმავე ფუნქციით -ზე და -ში თანდებულთა მონაცვლეობის წინ წამოწევა და ენაში მოცილე ფორმების გაჩენა. მაგ.: ქორწილში დაპატივა და ქორწილზე დაპატივა (იხ. ქორწილში/ქორწილზე); ბაზარში იყიდა და ბაზარზე იყიდა (იხ. ბაზარში/ბაზარზე).

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ენაში დამკვიდრებული უცხო ენობრივი კონსტრუქციებიც. მოცილე კონსტრუქციათაგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებისას ამ შემთხვევებშიც ენობრივი ტრადიციის პრინციპით ხელმძღვანელობენ (იხ. წესრიგში/წესრიგზე მოჰყავს).

5. დროის სემანტიკის მქონე სახელების ერთი ნაწილი დროული მიმართების გადმოსაცემად -ში თანდებულს დაირთავს, მეორე ნაწილი კი — -ზე თანდებულს. ტრადიციულად -ში თანდებულიანია ზაფხულ-

ში, ზამთარში, -ზე თანდებულობა — **გაზაფხულზე, შემოდგომაზე.** ამ სახელების სხვა ფორმით გამოყენება სალიტერატურო ენაში დაუშვებელია (იხ. **ზაფხულში / ზაფხულზე**).

6. -ზე და -ში თანდებულთაგან კონსტრუქციისათვის ერთ-ერთის ამორჩევის დროს ზოგჯერ აუცილებელია ზმნის სემანტიკისა და, შესაბამისად, მისი სინტაქსური უნარის გათვალისწინება. მაგ., **მონაწილეობას იღებს (მონაწილეობს)** ზმნური ფორმები გრამატიკულად მართებულ კონსტრუქციებს მხოლოდ **-ში** თანდებულებთან სხელებთან ქმნიან. ამავე დანიშნულებით **-ზე** თანდებულებთან სხელებთან გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახრად შეიძლება შეფასდეს (იხ. **მონაწილეობას იღებს — მონაწილეობს**: 2).

ენაში ერთი და იმავე დანიშნულებით **-ზე** და **-ში** თანდებულებთან ფორმათა გამოყენების შესახებ იხ. აგრ. **ბინაში / ბინაზე, ტრანსპორტში / ტრანსპორტზე**.

ზეპაკვლენა. ამ სახელთან სემანტიკურად შეუფერებელი ზმნების გამოყენების შესახებ იხ. **გავლენა, ზეგავლენა**.

ზომები თანამედროვე ქართულში უმარტებულო შესიტყვებას ქმნის ზმნებთან: **ატარებს, ახორციელებს, მიმართავს, ხმარობს.** სათანადო შინაარსის გამოსახატავად — გარკვეული გზების დასახვის, გეგმა-პროექტის (პროგრამის, ღონისძიების...) შემუშავების შინაარსის გადმოსაცემად სახელთან **ზომები** ერთადერთი — **მიიღება** ზმნა უნდა იხმარებოდეს. იხ. **ატარებს**, 2).

ზურგს უკან — პირს უკან სინონიმური შინაარსის გამოთქმებისა, რომლებიც საერთო უკან სიტყვას შეიცავენ. ამ სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით თრი გარემოება იქცევა ყურადღებას: ერთია — აღრინდელი ვითარების აღსანიშნავად თანდებულად ხმარებული უკან სიტყვის საპირისპირო ფუნქციით გამოყენება ან, სხვათაშორის, წინ და უკან ანტონიმების სინონიმებად გამოყენება (იხ. **უკან**).

სხვა შემთხვევაა, როცა სიტყვა უკან დაერთვის ისეთი „ანტონიმური“ (მიმართულების მიხედვით) შინაარსის სიტყვებს, როგორცაა **პირი და ზურგი**, და, რაც მთავარია, ორივე შეხამება სინონიმურ მნიშვნელობას იძლევა თანამედროვე ქართულში.

მეტყველების აღმნიშვნელ ზოგიერთ ზმნასთან და მათგან ნაწარმოებ უპირო ფორმებთან (ეუბნება, ეტყვის, უთხრა... თქმა, მთქმელი, სათქმელი...) პირდაპირ, გულახდილად ან ფარულად (იმის დაუსწრებლად, ვისზედაც ლაპარაკია) თქმის აღსანიშნავად გამოიყენება საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ერთეულები: ერთი მხრივ, **პირში, მეორე მხრივ კი — პირს უკან და ზურგს უკან (თქმა)**. შტრ.: „სად ვიპოვო ახლა მე მეგობარი, პირში მთქმელი და პირუთენელი“

(რ. ერისთ.); „პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო“ (ანდ.) და: „**ზურგს უკან** ზოგჯერ ხელმწიფესაც შეაგინებენო“ (ანდ.); „როცა ბოლშევიკები შეუღრეკელად ახორციელებდნენ პროლეტარიატის შეურიგებელ ტაქტიკას, — ამ დროს მენშევიკები, მუშების **ზურგს უკან**, მოლაპარაკებას მართავდნენ კადეტებთან“ (ი. სტალ.).

ქართულ ანდაზებში **პირში თქმის** საპირისპიროდ იხმარება **პირს უკან თქმა**, რაც დაპირისპირების შედარებითს სიძველესე უნდა მიუთითებდეს. მაგ.: „მოყვარეს **პირში უძრახე** (//უძრახვენ), მტერს **პირს უკანაო**“; „**ნურც პირში მაქებო**, **ნურც პირს უკან მაძაგებო**“.

მაშასადამე, პირ-სიტყვაზე დართულ უკან თანდებულს აქვს უნარი დიამეტრალურად შეუცვალოს მოქმედებას (თქმას, მეტყველებას) მიმართულება, საპირისპირო მიმართულებით შეაქციოს იგი.

XIX საუკუნის მწერალთა ნაწარმოებებში (თუ უფრო ადრე არა) თავს იჩენს სხვაგვარი დაპირისპირება: **პირში** და **ზურგს უკან**. მაგ.: „მოგახსენებთ **პირში** და არა **ზურგს უკან**!“ (აკაკი); „**ზურგს უკან** ცუდად იხსენიებდნენ [უფროსს], სამაგიეროდ **პირში** ელაქუცებოდნენ“ (ი. ეკალ.).

ამ დაპირისპირების ლექსიკური საფუძველი ენაში უკვე იყო: **პირი** და **ზურგი** ქართულში საწინააღმდეგო მიმართულებების აღსანიშნავად იხმარება. შდრ. საპირისპირო ტერმინები: **ზურგქარი** და **პირქარი**; მოქმედებით ბრუნვაში გაქვევებული **შმისართები**: **პირით** — **ზურგით**; სამხედრო ტერმინოლოგიაში **ზურგი** იხმარება **ფრონტის** (ანუ ბრძოლის წინა ხაზის) საპირისპიროდ და განიმარტება, როგორც „**მიწა-წყალი ბრძოლის ადგილის, ბრძოლის ხაზის ფრონტის უკან**“ (ქეგლ).

ვინაიდან **ზურგი** გამოიყენება **პირის** ანტონიმური მნიშვნელობით, ხოლო **უკან** საპირისპირო მნიშვნელობას ანიჭებს მართულ სახელს, გამოთქმა **ზურგს უკან** არა მარტო ტავტოლოგიური ჩანს (ხომ არა გვაქვს **პირ(ის) წინს**), არამედ ალოგიკურიც: დაპირისპირება **პირში** — **პირს უკან**, გარდა იმისა, რომ ტრადიციულია, ამავე დროს ბუნებრივი და დღესაც გასაგებია, რაც შეეხება გამოთქმას **ზურგს უკან**, ის თუმცა უკვე ტრადიციული გახდა, მაგრამ აზრობრივად მაინც ალოგიკურ სიტყვათშეხამებას წარმოადგენს. იგი ორმაგ დაპირისპირებას შეიცავს: 1. **ზურგი** — **პირი**; 2. **ზურგი** — **ზურგს უკან** (შდრ. **პირში** — **პირს უკან**). ერთი და იმავე სიტყვის ორი საპირისპირო ერთეული კი ერთმანეთს სინონიმურად უნდა დაუკავშირდეს და არა ანტონიმურად. მაშასადამე, ლოგიკურად **პირში** და **ზურგს უკან** სინონიმური ერთეულები უნდა იყოს და არა ანტონიმური.

მაგრამ ენამ ალოგიკური სიტყვათშეხამება **ზურგს უკან** ისევე უმტკივნეულოდ მიიღო როგორც ლოგიკური და ტრადიციით განმტკიცებული შესიტყვება **პირს უკან**. ამაში დიდი როლი შეასრულა სხვა ენის მაგალითმა, კერძოდ, რუსულში არსებულმა დაპირისპირებამ: **В ЛИЦО — ЗА СПИНОЙ**. უმტკივნეულო კალკირებისათვის ქართულში გარკვეული საფუძველი უკვე არსებობდა: ერთი მხრით, ლექსიკური დაპირისპირება: **პირი — ზურგი**, ხოლო მეორე მხრით, მიმართების აღმნიშვნელ საშუალებათა დაპირისპირება: **პირში — პირს უკან**. ყოველივე ამის გამო ქართული მასალა მზად აღმოჩნდა ახლებური დაპირისპირების შესაქმნელად — სხვა ენიდან მისი პირდაპირ „გაღმონერგვის“ გზით.

მიუხედავად აზრობრივი გაუმართაობისა, გამოთქმამ — **ზურგს უკან** — უკვე მიიღო სოციალური სანქცია; მეტიც, მან, შეიძლება ითქვას, აჯობა თავის კანონიერ და ტრადიციულ მეტოქეს — **პირს უკან** და მტკიცედ დამკვიდრდა თანამედროვე სიტყვათხმარებაში, — როგორც ზეპირ, ისე წიგნურ მეტყველებაში.

ამჟამად გამოთქმები **პირს უკან** და **ზურგს უკან** თანაბარი სემანტიკური ღირებულების გამოთქმებად უნდა ჩაითვალოს. ცხადია, ტრადიციულ ტექსტებში (ანდაზებში, ზღაპრებში...) ტრადიციულივე ფორმები უნდა იქნეს შენარჩუნებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შესაძლოა, გამოთქმების — **პირს უკან** და **ზურგს უკან** — სინონიმიზაციას ხელი შეუწყოს ამ სიტყვების შემცველ ზმნურ შესიტყვებათა მიერ სინონიმური მნიშვნელობის შექცნამ. კერძოდ, გამოთქმა **პირს იბრუნებს**, ჩვეულებრივ, მოითხოვს -კენ თანდებულიან სახელს. მაგ.: „ჯალაღდინმა კვლავ **სამხრეთისაკენ იბრუნა პირი**“ (ივ. ჯავახ.); „ზაალმაც **მარაბდისაკენ იბრუნა პირი**“ (მ. ჯავახ.); „...წვრილობურჯუაზიულმა დემოკრატიამ... **პირი იბრუნა** საბჭოთა **ხელისუფლებისაკენ**“ („კომ.“). აღნიშნული გაგებით **პირს იბრუნებს** (პირი იბრუნა) არ შეენაცვლება გამოთქმას **ზურგს იბრუნებს** (ზურგი იბრუნა). მაგრამ -კენ თანდებულიანი კონკრეტული სახელის გარეშე ეს ორი გამოთქმა სინონიმურ მნიშვნელობას იძენს და ანალოგიურ კონტექსტებში იხმარება. შლდრ.: „**პირი იბრუნა**, გაიქცა მტერი!“ (აკაკი) და: „ზალხმა, რა გაიგონა ეს ხმა, **იბრუნა ზურგი**, მიატოვა ბრძოლის ველი და გაიქცა ტყეში“ (ე. ნინოშ.).

ზღვარი ძირითადი მნიშვნელობით სინონიმია **საზღვარ-** და **მიჯ-**ნა სიტყვებისა: „თითოეულ სოფელს თავისი **მტკიცე ზღვარი** (საზღვარი) ჰქონდა“ („ივ. ჯავახ.). გადატანით **ზღვარი** აღნიშნავს იმასაც, რაც აშორებს, ყოფს, ასხვავებს ერთმანეთისაგან ორ რასმე ან ვისმე: „იგი

სხვა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“ (რუსთ.); წაიშალა ზღვა-რი სოფელსა და ქალაქს შორის და სხვ.

ზღვარ- სიტყვამ შეიძინა ახალი მნიშვნელობა: რისამე უმადლესი, უკიდურესი დონე, საფეხური, ხარისხი, ძალა, შესაძლებლობა. ეს მნიშვნელობა ამოსავალი შესიტყვებებში: მოთმინების ზღვარი, ცოდნის ზღვარი, ზღვარს მიაღწია, ზღვარს უახლოვდება და მისთ. ეს მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მათემატიკურ ტერმინსაც (**ზღვარი, ზღვართა თეორია**).

თანამედროვე სიტყვათხმარებაში ხშირია სიტყვა ზღვარ-ის გამოყენების შემთხვევები პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. რუსულში предел და пункт სიტყვების გამოყენების მსგავსად, ქართულშიც ხშირად საჭიროების გარეშე უპირატესობა ეძლევა ზღვარსა და მისი მსგავსი მნიშვნელობის სხვა სიტყვებს: მიჯნა, ზღუდე (იხ.). ამგვარ გამოყენებას ზოგჯერ ახლავს აზრობრივი ბუნდოვანება, ვინაიდან არეულია ერთმანეთში ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები. მაგ.: „მიღწეული ზღვარი როდია“ („მებრძ.“); „ჩემი რეკორდი ზღვარი არ არის“ („ლელო“); „მაგრამ უკვე განხორციელებული აღარც კმარა და არც ზღვარია, მით უფრო დღეს, როცა ქიმიის ესოდენ დიდი გაქანება მიეცა“ („თბილ.“); „სამთაერობო კოალიცია, რომელიც ერთი თვეც არ არის, რაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა, დაშლის ზღვარზეა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „გათბობის საქმის მოგვარება მით უფრო გადაუდებელი და აუცილებელია, რომ ამოწურვის ზღვარზეა რაიონის ტყის რესურსები“ (გ. ფანჯ.) და სხვ. ამგვარი გამოყენების გამო ხშირად სიტყვა ზღვარი შტამპად აღიქმება.

ზღუდე არის რისამე დასაცავად გარშემოვლებული რამ (კედელი, ლობე...); გალავანი („გარე კლდე იყო, ვიამბობ, ზღუდესა უქვიტიროსა“,—რუსთ.). ეს მნიშვნელობა ამოსავალი გადატანითი ხმარებისათვის, როცა ზღუდე დაბრკოლებას აღნიშნავს (გარდაუვალი, გადაუღებავი ზღუდე).

ზღუდე ზოგჯერ სინონიმია საზღვარი, ზღვარი, მიჯნა სიტყვებთან.

თანამედროვე ქართულში სიტყვა ზღუდე უფრო ხშირად ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარება. ამიტომ გაჩნდა შესიტყვებები: ერთი მხრით, ზღუდეების აღება, ზღუდეების დაძლევა, ზღუდეების დაპყრობა, ზღუდეების დალაშქვრა, დასახვეწ ზღუდეებს, უტევენ ზღუდეებს და მისთ., მეორე მხრით, ახალი ზღუდეები, ხუთწლედის ზღუდეები, პირველი ზღუდეები, მაღალი ზღუდეები, წლივანდელი ზღუდეები და მისთ. მაგ.: „ამჟამად ისინი, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, მეცხრე ხუთწლედის ახალ-ახალ ზღუდეებს

იღებენ“ („საქ. ბუნ.“); „ჩივი იბრძვის იმისათვის, რომ მარცვლეულის წარმოებაში 2 ათასი ტონის ზღუდე აიღოს, რომ მევენახეებსავით მემინდერებმაც ათას ტონებში იანგარიშონ თავიანთი ნაამაგარი“ („ლენ. გზით“); „უკვე იქნა მოპოვებული პირველი წარმატებები ახალი ხუთწლიდის ზღუდეების აღებისათვის ბრძოლაში“ (იქვე); „ახალი ზღუდეების დაძლევის უტყუარი პირობაა ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელება“ („საქ. ქალი“); „პირველსავე წელს დავიპყროთ ახალი ხუთწლიდის პირველი ზღუდეები“ („ლენ. გზით“); „ყველგან, მატერიალური დოვლათის წარმოებისა და შემოქმედებითი ძიების ყველა სფეროში, წარმატებით იპურობენ ახალ-ახალ ზღუდეებს“ („საქ. ქალი“); „ჩივი ახალი ხუთწლიდის მეორე წლის ზღუდეების დასალაშქრავად გააჩაღებს შრომას“ („გამარჯვ. დრ.“); „წარმატებით ლაშქრავენ ახალი ხუთწლიდის... ზღუდეებს ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის დარგის მშრომელები“ (იქვე); „წლის დამდეგს ჩვენ მაღალი ზღუდეები დავისახეთ“ („სოფლ. ცხოვრ.“); „სოფლის მშრომელთა დღესასწაულზე არა მარტო გაწეული მუშაობის შედეგები შეჯამდა, არამედ ახალი ზღუდეებიც დაისახა“ (იქვე); „ბორჯომელი ბოთლის მწარმოებლები მედგრად უტივენ ხუთწლიდის ზღუდეებს“ („კომ.“); „ახალსოფლელმა მევენახეებმა კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეუტიეს ახალი ხუთწლიდის ზღუდეებს“ („სოფლ. ცხოვრ.“) და სხვ.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ზღუდე (ზღუდეები), მსგავსად ზღვარ-და მიჯნა სიტყვებისა, გამოიყენება გეგმის, ვალდებულებების... მნიშვნელობით. ეს უფრო ნათლად ჩანს ზოგ კონტექსტში: „გორაბერეკოულელთა წინაშე ახალი გეგმებია დასახული და ისინიც... იბრძვიან ახალი ზღუდეების დასაპყრობად“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ცოტათ, — ამბობდა თავის გულში გამრჯე კაცი და უფრო მაღალი მიჯნები ესახებოდა... და წლებანდელ მაღალ ზღუდეებზე ფიქრობდა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ლენინელები ახალ ზღუდეებს უტივენ, იბრძვიან წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის“ („კომ.“); „წინ კიდევ ახალი ზღუდეები და ახალი სპორტული მწვერვალებია დასაპყრობი“ („საქ. ქალი“) და მისთ.

ჩანს, ზღუდე სიტყვას, ზღვარი, მიჯნა (იხ.) სიტყვების მსგავსად, განსაკუთრებული გამომსახველობითი ძალა აქვს მინიჭებული, ხშირად — უმართებულოდ. რუსულში ასეთივე ფუნქციით იყენებენ *пухляк* სიტყვას, რომელსაც სამხედრო ტერმინოლოგიიდან შემოსულად და დამკვიდრებულად მიიჩნევენ. ამას ქართლის ვითარებაც ადასტურებს: ზღუდე სიტყვასთან ხშირად ისეთი სემანტიკის ზმნებია

დაწყვილებული, რომლებიც საომარი მოქმედების აღსანიშნავადაც იხმარება: **დალაშქვრა, დაპურობა, დაძლევა, შეტევა** და მისთ.

ზღუდე სიტყვის ამგვარ გამოყენებას ხშირად ახლავს ამალლებული სტილით მეტყველების პრეტენზია. შედეგი საპირისპიროა: მას დაკარგული აქვს გამომსახველობა და შტამპად აღიქმება.

თ

თავ- სახელი თავი ქართულში ერთი ყველაზე პოლისემიურ სიტყვათაგანია. მისი ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობა ზედსართაულია და იგივეა, რაც: მთავარი, ძირითადი, არსებითი. სწორედ ამ მნიშვნელობითაა იგი გამოყენებული უკანასკნელი ხანების პრესის ენაში ახალი სიტყვების საწარმოებლად ან უკვე არსებულ სიტყვებში ახალი შინაარსის ჩასადებად. ეს სიტყვები რთული აგებულებისაა და თავ- ფუძე მათი პირველი კომპონენტია.

1. **თავფურცელი.** ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობაა: წიგნის პირველი, დასაწყისი გვერდი, რომელზედაც სათაურია დაბეჭდილი.

თანამედროვე სიტყვათხმარებაში აშკარად შეინიშნება **თავფურცელ-** სიტყვა-ტერმინის მნიშვნელობის უმართებულო, ხელოვნური გაფართოების ტენდენცია. კერძოდ, ამ რთულ სახელს ტვირთავენ ისეთი სემანტიკური ნიშან-თვისებებით, როგორცაა: მნიშვნელოვანი, მთავარი, ძირითადი. მაგ.: „გმირული ისტორიის **თავფურცელი** [უნდა იყოს: ერთი ფურცელი, ანდა: მნიშვნელოვანი (შესანიშნავი) ფურცელი]“ („კომ.“); „მოდით, გადავშალოთ ჩვენი საოჯახო ალბომის კიდევ ერთი **თავფურცელი**“ (ტელეგად. „იავნანა“). აქ ზედმეტია თაველემენტი: შესიტყვება **კიდევ ერთი ხაზს** უსვამს უფრო საგანთა გათანაბრებას, ვიდრე ერთგვარობა-წონასწორობის დარღვევას ერთ-ერთის გამოყოფის გზით. საერთოდ, სიტყვა **თავფურცელი** და რიცხვითი სახელი ერთად შეუთავსებელია, ვინაიდან **თავფურცელი** მუდამ ერთადერთია (სხვა ფურცლებთან მიმართებით). ამიტომ მოყვანილ სიტყვათა შეხამებისას ზედმეტია ერთ-ერთი: **თავ-** კომპონენტი ან რიცხვითი სახელი.

2. **თავწყარო** სალიტერატურო ქართულისათვის და ზეპირი მეტყველებისათვისაც უცხო ლექსიკური ერთეულია. იგი ხელოვნური შენაერთია კარგად ცნობილი ქართული სიტყვებისა **თავი** და **წყარო** და საწარმოებია იმავე წესით, რაც **თავკაცი** (მეთაური, ხელმძღვანელი), აგრეთვე **თავწყალი**, თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ ზმნურ შესიტ-